



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყოველკვირული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**



N 38, 2021

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
უკრაინას შეუძლია დამოუკიდებლად გადაჭრას ევროპის “გაზის კრიზისი” .....	2
2021 წლის იანვარ-აგვისტოში აზერბაიჯანიდან საქართველოში ბუნებრივი აირის იმპორტი 19,1%-ით შემცირდა .....	2
ელექტროენერგეტიკა .....	2
ENKA საქართველოს მთავრობასთან ხელშეკრულებას წყვეტს - “ნამახვანჭესი” აღარ აშენდება .....	2
საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება 40.1%-ით გაიზარდა .....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	3
ინდოეთი ელექტრო და წყალბადის ავტომობილების წარმოების სტიმულირებისთვის 3,5 მლრდ დოლარს ჩადებს.....	3
სალვადორში ბიტკოინის მაინინგისთვის ვულკანურ გეოთერმულ ენერჯიას გამოიყენებენ .....	4
კლიმატის ცვლილება.....	5
ბეზოსი ბუნების დასაცავად \$1 მილიარდს გამოყოფს .....	5
ჰაერის დაბინძურება წელიწადში 7 მლნ ადამიანის ნაადრევ სიკვდილს იწვევს .....	5
პუბლიკაციები.....	6
ღონისძიებები .....	6

## ნავთობი და გაზი

### უკრაინას შეუძლია დამოუკიდებლად გადაჭრას ევროპის “გაზის კრიზისი”

“უკრაინის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების სისტემის ოპერატორს” შეუძლია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ევროკავშირი ბუნებრივი აირით და მზადაა დამატებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად – განაცხადა უკრაინული ოპერატორის ხელმძღვანელმა სერგეი მაკოგონმა.

“ჩვენ ვდებთ უზარმაზარ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურის რემონტში, მოვლაში, სპეციალისტების მომზადებაში, შესაბამისად, “უკრაინის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების სისტემის ოპერატორი” არის საიმედო და უსაფრთხო. ჩვენ მზად ვართ უზრუნველყოთ დამატებითი სიმძლავრეები ევროპისთვის, იმაზე მეტიც კი ვიდრე ეს Nord Stream-ს შეუძლია. დიახ, ჩვენ შეგვწევს უნარი დავაკმაყოფილოთ ევროპის საჭიროებები რუსული გაზისა და მილსადენის გარეშე ” – ნათქვამია მაკოგონის პრესსამსახურის განცხადებაში.

უკრაინას შეუძლია მოაგვაროს ევროკავშირის “გაზის კრიზისი” და გაიტანოს ორჯერ მეტი ბუნებრივი აირი ევროპაში, ვიდრე ამას Nord Stream და Nord Stream 2 გაზსადენები ახორციელებენ – ირწმუნება მაკოგონი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთისგან განსხვავებით, უკრაინას არასოდეს დაუღალატებია თავისი ევროპელი პარტნიორები და გაზის მიწოდება არასოდეს შეწყვეტილა კიევის ინციატივით.

<https://cutt.ly/zEcLJSd>

### 2021 წლის იანვარ-აგვისტოში აზერბაიჯანიდან საქართველოში ბუნებრივი აირის იმპორტი 19,1%-ით შემცირდა

2021 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველომ აზერბაიჯანიდან 858.1 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი შემოიტანა, ჯამში \$ 126.6 მილიონის ღირებულების.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი 19,1% -ით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ასევე, 8 თვის განმავლობაში საქართველომ აზერბაიჯანიდან შეიძინა 148.5 ათასი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 78.6 მილიონი დოლარის ღირებულების, რაც 0.7%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით.

<https://cutt.ly/BEcLXL0>

## ელექტროენერგეტიკა

### ENKA საქართველოს მთავრობასთან ხელშეკრულებას წყვეტს - “ნამახვანჰესი” აღარ აშენდება

ENKA Renewables-ი საქართველოს სახელმწიფოთან არსებულ ხელშეკრულებას წყვეტს - \$800 მილიონიანი ჰიდროელექტროსადგური აღარ აშენდება.

ამის შესახებ Enka Renewables-ის მშობელი კომპანიის - ENKA İNŞAAT-ის მიერ სტამბოლის საფონდო ბირჟაზე გამოქვეყნებული განცხადებიდან ხდება ცნობილი.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზს მასში გათვალისწინებული პირობების დარღვევა და ფორს-მაჟორი წარმოადგენს.

“ENKA Renewables-ი, რომელშიც ENKA İNŞAAT-ი 90%-იან წილს ფლობს, საქართველოს სახელმწიფოს აცნობს, რომ მოხდეს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობა-ფლობა-ოპერირების თაობაზე, 2019 წლის 25 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება, რის მიზეზსაც კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და ფორს-მაჟორი წარმოადგენს”, - ნათქვამია განცხადებაში.

BMG-იმ 15 სექტემბერს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნამახვანის პროექტის ინვესტორი ENKA საქართველოს მთავრობასთან საარბიტრაჟო დავის დაწყებას განიხილავდა.

<https://cutt.ly/bEcL0Jk>

## საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება 40.1%-ით გაიზარდა

ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო) სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის აგვისტოში ქვეყანამ მთლიანად 1351.492 მლნ კვტ-სთ ელექტროენერჯია მოიხმარა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი მოხმარებამ 964.538 მლნ კვტ-სთ შეადგინა.

ამასთან, გაიზარდა ელექტროენერჯის გენერაციაც. კერძოდ, თუ 2020 წლის აგვისტოში საქართველოში სულ გამომუშავებული იქნა 948.562 მლნ კვტ-სთ ელექტროენერჯია, წელს ანალოგიურ პერიოდში ამ მაჩვენებელმა 1202.617 მლნ კვტ-სთ შეადგინა.

როგორც წესი, გამომუშავებულ ელექტროენერჯიაში ყველაზე დიდი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის. კერძოდ, წელს აგვისტოში ჰესებმა ჯამში 1023.854 მლნ კვტ-სთ ელექტროენერჯია გამოიმუშავეს, თბოსადგურებმა - 173.237 მლნ კვტ-სთ, ქართლის ქარის სადგურმა კი 5.527 მლნ კვტ-სთ.

<https://cutt.ly/vEcL95x>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### ინდოეთი ელექტრო და წყალბადის ავტომობილების წარმოების

### სტიმულირებისთვის 3,5 მლრდ დოლარს ჩადებს

ინდოეთის ხელისუფლება აპირებს უახლოეს მომავალში 257 მილიარდი რუპია (3,5 მილიარდი დოლარი) გამოყოს ელექტრო და წყალბადზე მომუშავე ავტომობილების წარმოების სტიმულირებისთვის. როგორც გაზეთი The Economic Times-ი წერს, ეს გადაწყვეტილება „პარიზის კლიმატის შეთანხმების“ შესაბამისად, სასათბურე გაზების გაფრქვევის შემცირებას შეუწყობს ხელს.

მსგავსი ინიციატივა ინდოეთს საშუალებას მისცემს დააჩქაროს გადავიდეს ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებებზე, ისეთებზე როგორცაა ელექტრომობილები და

წყალბადის საწვავზე მომუშავე ავტომობილები. როგორც გამოცემა წერს, ქვეყანას სჭირდება ამ ტიპის ტრანსპორტის განვითარება, ვინაიდან ინდოეთის მეგაპოლისები, მათ შორის დედაქალაქი ნიუ-დელი მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული ჰაერის მქონე ქალაქების რიცხვს განეკუთვნება.

აღნიშნული პროგრამის დეტალებზე ინფორმაცია ამ ეტაპზე არ ვრცელდება. თუმცა, The Economic Times-ი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მისი გააქტიურება მოხდა მას შემდეგ, რაც ამერიკულმა ელექტრომობილების მწარმოებელმა კომპანიამ Tesla-მ ინდოეთის ბაზარზე შესვლა დაანონსა.

<https://cutt.ly/CEcL4M6>

## სალვადორში ბიტკოინის მაინინგისთვის ვულკანურ გეოთერმულ ენერჯიას გამოიყენებენ

მას შემდეგ, რაც სალვადორი მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ბიტკოინი ოფიციალურ ვალუტად აღიარა, ქვეყნის პრეზიდენტმა, ნაიიბ ბუკელემ თქვა, რომ კრიპტოვალუტის მაინინგისთვის სალვადორში არსებულ გეოთერმულ ელექტროსადგურს გამოიყენებენ, რომელიც ენერჯიას ვულკანიდან გამოიმუშავებს.

ვულკანური გეოთერმული ენერჯია ითვლება ენერჯიის სუფთა და განახლებად წყაროდ, რომელიც გარემოს არ აბინძურებს.

ბუკელეს თქმით, პროექტზე სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია LaGeoSV იმუშავებს, ბიტკოინის მაინინგცენტრის მშენებლობა კი გეოთერმული სადგურის ახლოს იგეგმება.

სალვადორში 30-მდე ვულკანია, აქედან 20 მათგანი კი აქტიურია.

აღნიშნული ნაბიჯი პირდაპირ ეხმიანება გარემოსდაცვით არგუმენტს, რომლის მიხედვით, კრიპტოვალუტის მაინინგი დიდი რაოდენობით ელექტროენერჯიას მოიხმარს, ხოლო ამ ენერჯიის წყარო ხშირად არაგანახლებად ენერჯიაზე მომუშავე თბოელექტროსადგურებია, რომლებიც გარემოს აბინძურებენ.

ექსპერტების განმარტებით, კრიპტოვალუტის მაინინგში დახარჯული ენერჯია გაფლანგული სულაც არ არის, რადგან ის კრიპტოგრაფიულად დაცული მონეტარული სისტემის ფუნქციონირებისთვის გამოიყენება.

პრობლემა კი არა მაინინგში, არამედ ელექტროსადგურებშია და სახელმწიფოებმა ეს გამოწვევა არა კრიპტოვალუტის მაინინგის აკრძალვით, არამედ ენერჯიის სუფთა და განახლებად წყაროებზე გადართვით უნდა მოაგვარონ, ისეთებზე, როგორებიცაა: ჰიდრო-, ატომური, მზის, ქარის, გეოთერმული და, მათ შორის, ვულკანური წყაროები.

Twitter-ის დამფუძნებელი, ჯეკ დორსი და Tesla-ს აღმასრულებელი დირექტორი, ილონ მასკი იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ ბიტკოინი განახლებადი ენერჯიის განვითარებას უწყობს ხელს.

დორსის არაერთხელ უთქვამს, რომ კრიპტოვალუტის მაინინგი ხელს შეუწყობს ინოვაციური პროექტების განხორციელებას და ახალი თაობის ენერგოსადგურების მშენებლობას.

მაგალითად, ტეხასში შენდება მზის ენერჯიაზე მომუშავე უდიდესი ბიტკოინის მაინინგ ცენტრი, რომელიც 1 გიგავატზე მეტ განახლებად ენერჯიას გამოიმუშავებს.

“ტეხასი ბიტკოინის მაინერებისთვის მექად იქცევა”. – თქვა ტეხასის გუბერნატორმა, გრეგ აბოტმა.

<https://cutt.ly/mEcL6HA>

## კლიმატის ცვლილება

### ბეზოსი ბუნების დასაცავად \$1 მილიარდს გამოყოფს

Amazon-ის დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსი, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში ხმელეთისა და ოკეანების დასაცავად \$1 მილიარდის დახარჯვას გეგმავს.

The Bezos Earth Fund-ი, რომელიც მილიარდერმა ბიზნესმენმა 2020 წელს დააარსა, \$1 მილიარდს დაცული ტერიტორიების მონიტორინგის, შექმნის, გაფართოებისა და მართვისთვის გამოყოფს.

ფონდი თანხის გამოყენებას გეგმავს ისეთი ტერიტორიებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნებისა და ნახშირბადის მარაგისთვის.

2020 წლის თებერვალში ბეზოსი კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ საბრძოლველად ათი წლის განმავლობაში \$10 მილიარდის დახარჯვის ინიციატივით გამოვიდა, რაც მილიარდერის იმდროინდელი ქონების 10%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

<https://cutt.ly/gEcZtRc>

### ჰაერის დაბინძურება წელიწადში 7 მლნ ადამიანის ნაადრევ სიკვდილს იწვევს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებით, ჰაერის დაბინძურება ერთ-ერთი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, რომელიც ყოველწლიურად 7 მილიონი ადამიანის ნაადრევ სიკვდილს იწვევს. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ გაამკაცრებენ ჰაერის ხარისხის შესახებ გაიდლაინებს, რადგან საჭიროა გადაუდებელი ქმედებების განხორციელება. ახალი სახელმძღვანელო ეხება სხვადასხვა ნივთიერებას, მათ შორის ოზონს, აზოტის დიოქსიდს, გოგირდის დიოქსიდსა და ნახშირორჟანგს.

ჯანმო-მ ჰაერის ხარისხის გაიდლაინები ბოლოს 2005 წელს გამოსცა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიო გარემოსდაცვით პოლიტიკაზე. თუმცა, ორგანიზაციის განმარტებით, მომდევნო 16 წლის განმავლობაში გაცილებით ძლიერი მტკიცებულება გამოჩნდა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ აისახება ჰაერის დაბინძურება ჯანმრთელობაზე იმაზე უფრო დაბალი კონცენტრაციის პირობებში, როგორც აქამდე მიიჩნევდნენ.

“დაგროვილი მტკიცებულება საკმარისია იმ ქმედებების გასამართლებლად, რაც საჭირო ჰაერის ძირითადი დამაბინძურებლების მოსახლეობაზე ზემოქმედების შესამცირებლად არა მხოლოდ კონკრეტულ ქვეყნებში ან რეგიონებში, არამედ გლობალურ დონეზე”, – აცხადებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

<https://cutt.ly/uEcZuAH>

## პუბლიკაციები

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ინგლისურენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

## ღონისძიებები

საბინაო სექტორის მწვანე დაფინანსების შემადგენელი ელემენტები (ვებინარი)

თარიღი: 30 სექტემბერი, 2021, 16:00 თბილისის დროით

[რეგისტრაცია](#)

<https://c2e2.unepdtu.org/events/the-building-blocks-of-residential-green-finance-webinar/>

მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021.4.en.2.1.13.html>

მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა "Kostis Palamas"

<https://promitheasconference.wordpress.com/>